განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 27.09.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 12.11.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	202192643
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი Bachelor of International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-6
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერება და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული გადაწყვეტილება No. 646, 08.11.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფავლენიშვილი - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია - შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი - შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წარმოდგენილმა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია მიიღო 08.11.2012-ში No.646 გადაწყვეტილებით.

შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამამ არსებობის მანძილზე განიცადა ცვლილებები, რომლის მიზანი იყო, გაძლიერებულიყო პროგრამის ინტერდისციპლინურობა, რისი მიღწევაც მოხდა პრაქტიკული კომპონენტების და ახალი აკადემიური პერსონალის დამატებით. ბაზრის კვლევებისა და დამსაქმებლებთან შეხვედრების შემდეგ, უსდ-მ გადაწყვიტა, რომ პროგრამა ფოკუსირებული ყოფილიყო პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე, შესაბამისად, მოხდა მისი გამდიდრება პრაქტიკული კურსებით, რომლებსაც უძღვებიან მოქმედი საჯარო მოხელეები სფეროში მოღვაწეობის დიდი გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელისა და თვითშეფასების ჯგუფში ჩართული აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის გადაწყვეტილებით უცხო ენების კურსებს მიენიჭა სავალდებულო სტატუსი. ამასთან პროგრამის დასრულებამდე სტუდენტმა უნდა გაიაროს მეორე უცხო ენაც (ევროპულ ენებთან სტუდენტებს სთავაზობენ ჩინურ ენასაც). პროგრამის მიზანია, რომ სტუდენტი საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას ფლობდეს ორ უცხო ენას. პროგრამის განმახორციელებლები თვლიან, რომ ამგვარად კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა და მათზე მოთხოვნა შრომით ბაზარზე იზრდება. ამავდროულად, უცხო ენებისადმი (კონკრეტულად, ინგლისური და ჩინური) სტუდენტთა ინტერესის გასაღვივებლად, შემუშავდა ოთხი ინგლისურენოვანი კურსი. აქედან სამს კითხულობს მოწვეული უცხოელი. ჩინური ენის პოპულარიზაციის გასაზრდელად უსდ-ში ფუნქციონირებს კონფუცის ინსტიტუტი.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განვითარებაში ჩართულია საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის აკადემიური პერსონალი. პროფესორებთან ერთად, ლექციებს კითხულობენ მოქმედი პრაქტიკოსები (მაგ. დიპლომატები და პოლიტიკოსები).

საბაკალავრო პროგრამა დაფუძნებულია ჰოლისტურ მიდგომაზე. პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი; მან უნდა გაიაროს სწავლის ძირითადი სფეროს სასწავლო სავალდებულო (139 კრედიტი) და არჩევითი (27 ECTS) კურსები, თავისუფალი სასწავლო კურსები (სავალდებულო, 44 კრედიტი (უცხო ენები) და არჩევითი, 20 კრედიტი) და დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი (სავალდებულო, 10 კრედიტი).

ინგლისური ენის ფლობის დონის დადგენის მიზნით, სწავლის დაწყებისთანავე უსდ ატარებს ინგლისური ენის დონის განმსაზღვრელ ტესტს; თუ სტუდენტის ინგლისურის ფლობა B2-ზე დაბალია, სტუდენტები გადიან ინგლისური ენის კურსებს.

პროგრამაში არაა გათვალისწინებული პრაქტიკული განათლების კომპონენტი კურსის სახით, მაგრამ პრაქტიკული კომპონენტი ჩაშენებულია სასწავლო კურსებში და ცდილობს განუვითაროს სტუდენტს პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

პროგრამის მიზანია გაითვალისწინოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების ცვალებადობა. შედეგად, პროგრამის ფარგლებში ისწავლება ისეთი პრაქტიკული კურსები, როგორიცაა *ახლო აღმოსავლეთის რეგიონი - საერთაშორისო ურთიერთობათა ანატომია, ტერორიზმი, რუსეთის საგარეო პოლიტიკა, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური პოლიტიკა* და *სხვა.* ამასთან, პროგრამის მე-8 სემესტრში სტუდენტს ევალება დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი. აღნიშნული აქტივობის მიზანია კვლევითი უნარების შეძენა/განვითარება.

პროგრამის შედგენისას მისი წარმატებული განხორციელებისათვის მოხდა ანალოგიური უცხოეთში მოქმედი პროგრამების გამოცდილების გაზიარება და მისი შედარება ქართულ უნივერსიტეტებში მოქმედ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამებთან. წარმოდგენილი პროგრამა შეაფასა როგორც უცხოელმა, ისე ქართველმა აკადემიურმა ექსპერტმა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრეტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ზუმ-შეხვედრა. შეხვედრის მიმდინარეობისას მოხდა პროგრამის დოკუმენტებზე დეტალური მსჯელობა და სტანდარტების გადანაწილება; შედგა ინტერვიუებისათვის სავარაუდო კითხვების მონახაზი.

ზუმ-ვიზიტი დაიწყო 10:20 საათზე (27.09.2021) თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში. პირველ შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომელიც წარმოდგენილი იყო პრეზიდენტით, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანით, საოპერაციო დეპარტამენტის დირექტორით, ადამიანური კაპიტალის მართვისა და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტის დირექტორით, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორით, ფინანსური კონსულტანტითა და ფინანსური სამსახურის უფროსით.

საუბარი შეეხო საერთაშორისო ურთიერთობათა საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელობას, როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პროგრამის ჰოლისტური მიდგომა და მისი არქიტექტურა მას

ხდის გამორჩეულს. მან ხაზი გაუსვა, რომ უსდ-სთვის ეს პროგრამა მნიშვნელოვანია, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში უსდ მზადაა უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური სტაბილურობა. ამისათვის შეიქმნა სპეციალური ფონდი.

მეორე შეხვედრის დროს აკრედიტაციის ჯგუფი გაესაუბრა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს:

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორს, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანს, აკადემიური პროცესების მართვის სამასახურის უფროსსა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს. ინტერვიუების დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრები შეეხნენ ჯგუფის მუშაობის სტილს, კონკრეტული წევრებისათვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს პროგრამის თვითშეფასების პროცესზე მუშაობისას. ამავე შეხვედრაზე აკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო აკადემიური პერსონალის შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს, სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტებს მათი ქმედითუნარიანობის შესაფასებლად.

დაისვა კითხვები, თუ როდის და როგორ ხდება სტუდენტთა ინფორმირება სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ყველაზე ხანგრძლივი შეხვედრა შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან. საინტერესო იყო მათი ხედვები დაკავშირებული პროგრამის ინტერდისციპლინურობას, ჰოლისტურეობასა და კურსის შიგნით პრაქტიკული კომპონენტების ჩაშენების აუცილებლობასთან. მათ ხაზი გაუსვეს, რომ პროგრამა განვითარებადია, ითვალისწინებს მსოფლიო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევებს, რომელთა გათვალისწინებით ხდება საგნების გადახედვა, სილაბუსების გადახალისება, ახალი კურსების დამატება და პრაქტიკოსი საჯარო მოხელეებით აკადემიური პერსონალის გამდიდრება.

შემდეგ დათვალიერდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უსდ ინფრასტრუქტურულად გამართულია და მორგებულია სტუდენტების მოთხოვნებზე; ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სტუდენტი იყოს მოტივირებული და მისი სწავლის შედეგი იყოს მაღალი ხარისხის. ბიბლიოთეკის დათვალიერებისას, ბიბლიოთეკის დირექტორმა გვაჩვენა კონკრეტულად პროგრამისთვის შეძენილი წიგნები; მათი უმრავლესობა გაციფრებულია. სტუდენტს ბიბლიოთეკაშიც და დისტანციურადაც უსდ-ს ელ-პლატფორმის გამოყენებით მარტივად შეუძლია სასურველი წიგნის მოძიება. ელ-ვერსიის არარსებობის შემთხვევაში, ბიბლიოთეკის თანამშრომელს სტუდენტი უგზავნის მოთხოვნას, რის საფუძველზეც ხდება საჭირო მასალის სკანირება და მიწოდება. ბიბლიოთეკა ფლობს აკადემიურ ელექტრონულ ბაზებს.

დღის მეორე ნახევარი დაეთმო შეხვედრებს აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტზე, შეაფასეს მიგნებები და გაუზიარეს ისინი უსდ-ს წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ვიზიტის, დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- შესაბამისობაშია: 3.1; 4.3, 4.4; 5.1, 5.2, 5.3
- მეტწილად შესაბამისობაშია: 1.1,1.2, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, 2.6; 4.2
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია: 4.1

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, მოხდეს მემორანდუმების განახლება, საერთაშორისო ქსელის გაფართოება (მაგ. ერაზმუს+ გაცვლით პროგრამებში ჩართვა და სხვა) სტუდენტების ინფორმირება და უცხოეთში სწავლის წამახალისებელი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;

რეკომენდებულია, პროგრამას უნდა დაემატოს *აკადემიური წერა* სავალდებულო სტატუსით (მითუმეტეს, საბაკალავრო ნაშრომის შესრულება სავალდებულოა) და შეიცვალოს კურსი, *კვლევის მეთოდების* სტატუსი, გახდეს სავალდებულო;

რეკომენდებულია ტრენინგების ჩატარება მოქმედი პრაქტიკოსი ლექტორებისათვის სილაბუსების შექმნის სტრანდარტსა და სწავლების შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ;

რეკომენდებულია ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე ან ტესტის ჩატარებით ენის ფლობის დონის დადგენა და ინგლისური ენის გაძლერებით სწავლება (პროცედურის გაწერა ფორმალურად);

რეკომენდებულია, ერთის მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე პროგრამის პოპულარიზაციის ფართომასშტაბიანი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება სტუდენტთა მოსაზიდად და, მეორეს მხრივ, სკოლის ან უსდ-ს ადმინისტრაციის მიერ სტუდენტთა გადინების მიზეზების დადგენა და ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება მათ შესანარჩუნებლად;

აუცილებელია, პროგრამამ შესთავაზოს სტუდენტს სტაჟირება კრედიტის მინიჭებით პოტენციურ დამსაქმებელთან (არჩევითი სტატუსი) ან პრაქტიკული კურსი სავალდებულო სტატუსით.

რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა:

ა. კურსის მიზეზისა და შედეგის თანხმობაში მოყვანა,
ბ. აკადემიური ლიტერატურის გამოყენება,
გ. ლიტერატურის სწორად მითითება,
დ. ტრანსფერული უნარების გამაძლიერებელი აქტივობების დამატება;

რეკომენდებულია, კურიკულუმს დაემატოს დამოუკიდებელი სავალდებულო სასწავლო კურსი „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში“ (საბაზისო ცოდნა სხვადასხვა თეორიული სკოლების ძირითადი მახასიათებლებისა და დარგის ტერმონოლოგიის შესახებ) რომელიც გახდება წინაპირობა სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიები, კონცეფციები, დისკუსიები“,

რეკომენდებულია სასწავლო კურსის სათაური განისაზღვროს როგორც „საერთაშორისო პოლიტიკა“, სილაბუსის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი ცვლილებებით,

რეკომენდებულია, სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო უსაფრთხოება“ დაიწეროს ახალი, საბაკალავრო დონის შესავალი კურსი (საერთაშორისო უსაფრთხოების, როგორც პოლიტიკის მეცნიერებების ახალი დარგის განვითარების სპეციფიკა, დარგის ინტერდისციპლინარულობა, უსაფრთხოების სამხედრო და არასამხედრო ასპექტები და სხვ.),

რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე განზომილება“ წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შესავალი კურსები, ინგლისური ენა (3 ან 4) და შესაბამისად, გადანაცვლდეს კურიკულუმში,

რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საერთაშორისო უსაფრთხოება“, რომელსაც შეეცვლება სათაური როგორც „საერთაშორისო პოლიტიკა“, წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების შესავალი კურსი და ინგლისური ენა (3 ან 4).

სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში“ წინაპირობის გარეშეა წარმოდგენილი. **რეკომენდებულია,** წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში“,

რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „საჯარო პოლიტიკის ანალიზი“ წინაპირობად განისაზღვროს „საჯარო მმართველობის საფუძვლები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები“,

რეკომენდებულია, ყველა სილაბუსში მკაფიოდ იყოს აღნიშნული მინიმალური ბარიერები, გამოცდაზე დაშვების ბარიერი, რომელ კვირაშია ჩანიშნული შეფასების ესა თუ ის ფორმა,

რეკომენდებულია, პროგრამას დაემატო ისეთი პრაქტიკული საგანი, როგორიცაა *აკადემიური წერა ან კვლევის დიზაინი და კვლევის მეთოდები* გახდეს სავალდებულო

რეკომენდებულია ჩატარდეს ტრენინგები სწავლების მეთოდოლოგიაში როგორც ახლადმოწვეული, ისე პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის,

რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელების ჯგუფი გაძლიერდეს ახალი პერსონალის დამატებით, რომლის სამუშაო გამოცდილება და/ან კვლევითი ინტერესები ბოლო 5 წლის მანძილზე დაკავშირებული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების დარგთან,

რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავებაში ჩართულობის გასაძლიერებლად და სასწავლო კურსების სილაბუსების შექმნაში მათი ჩართულობის გადასამოწმებლად,

რეკომენდებულია, უსდ-მ გაწიოს ინტენსიური ძალისხმევა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, დაგეგმოს ტრენინგები კურიკულუმისა და სილაბუსების შედგენის, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასებების, ქართული საგანმანათლებლო სივრცის რეგულაციებისა და მახასიათებელი თავისებურებების და სხვ. შესახებ როგორც ადგილობრივი რესურსით, ასევე განათლების სპეციალისტების უსდ-ში მოწვევით ტრენინგების ჩასატარებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი იყოს წარმოდგენილი გრძელვადიანი სტატუსით თვითშეფასების ჯგუფში,

პრაქტიკულ კურსებში, სასურველია, შესასწავლი ქეისების გამრავალფეროვნება,

სილაბუსებში სტანდარტულად არის მითითებული მხოლოდ სწავლების ორი მეთოდი: ლექცია და ჯგუფში მუშაობა (classwork); სასურველია გასწორდეს და დაემატოს სწავლების სხვა მეთოდებიც, რომელსაც ლექტორები იყენებენ,

საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია მოხდეს შეფასების თითოეული კომპონენტის და განსაკუთრებით მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ნათლად ფორმულირება სასწავლო კურსის სილაბუსებში,

უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობისა და დასაქმების შესაძლებლობის გაფართოების მიზნით, გაგრძელდეს საქართველოში მოქმედ

კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების პროცესები,

სასურველია მაქსიმალურად იქნას ათვისებული და გამოყენებული როგორც სტუდენტების, ასევე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა EMIS-ის მექანიზმი და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის ერთიანი სისტემა.

სასურველია პროგრამის წარმომადგენლებმა შეიმუშაონ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტების მეტად ჩართულობას პროგრამის თვითშეფასების, დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესებში,

სასურველია, სამომავლოდ პროგრამის წარმომადგენლების აქტიური ხელშეწყობით, გაიზარდოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში და კვლევით პროექტებში საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლი,

სასურველია სტუდენტების წახალისება/ჩართვა ექსტრაკურიკულურ აქტივობებში,

სასურველია, უსდ აფილირებული პერსონალის ხელშეკრულებები ითვალისწინებდეს პერსონალის უსდ-ში და უსდ-ს მიღმა დატვირთვის კონკრეტულ შესაძლებლობებს,

სასურველია, უსდ-მ პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და თვლადობის პროცესში კრიტერიუმებად განსაზღვროს მხოლოდ სამეცნიერო სახის ნაშრომები/სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და გაითვალისწინოს ნაშრომების დარგთან კავშირი,

სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რომელიც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ანგარიშის სახით.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში):

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

განმეორებითი აკრედიტაციის პროცესში მოხდა კურსების დამატება დიპლომატიისა და თანამდროვე საერთაშორისო და პოლიტიკური გამოწვევების მიმართულების გასაძლიერებლად, სილაბუსების განახლება, ლიტერატურის გამდიდრება თანამედროვე და ინგლისურენოვანი აკადემიური გამოცემებით; შესასწავლი თემების გამრავალფეროვნება; ლექტორებად მოქმედი პრაქტიკოსების მოწვევა.

უსდ-დან მიღებუბლი **არგუმენტირებულში პასუხის** თანახმად, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამა გაეცნო აკრედიტაციის ჯგუფის დასკვნის პროექტს. მოხდა 1.1 -ის, 2.2-ისა და 2.3-ის სრულად გაზიარება; 2.1 -ის ნაწილობრივ.

დანარჩენი რეკომენდაციების პასუხად უსდ-მ მოიყვანა არგუმენტები საკუთარი პოზიციების ვალიდაციისათვის. აკრედიტაციის ჯგუფმა არ გაიზიარა ისინი და გაცემული რეკომენდაციები

ძალაში დატოვა. ამასთნ, აკრედიტაციის ჯგუფმა მიიღო უსდ-ს შწენიშვნა და მსჯელობის შედეგად მოხდა 2.2, 2.4 და 2.6 სტანდარტში გაწერილი დუბლირებული რეკომენდაციების მოდიფიცირება (ერთი რეკომენდაცია დაიყო ორად და აკადემიური წერის შეთავაზება 2.6 სტანდარტიდან იქნა ამოღებული).

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია, სტუდენტს ჰქონდეს მაღალი სტანდარტის შესატყვისი განათლების მიღების შესაძლებლობა. მან უნდა შეიძინოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საფუძვლიანი განათლება საერთაშორისო ურთიერთობებში (დარგის სავალდებულო და არჩევითი კურსები) და ფლობდეს სფეროში მუშაობისათვის აუცილებელ სპეციალიზებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. წარმოდგენილი პროგრამის მიზანია, სწავლის პროცესში ბაკალავრმა მიიღოს ფართო ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემისა და გლობალური პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროს მიმართულებების, დარგში არსებული გამოწვევების შესახებ; შეისწავლოს დემოკრატიული ღირებულებები და კარგი მმართველობის პრინციპები და გამოიყენოს ისინი პროფესიული საქმიანობისას; სწავლის მიმდინარეობისას შეიძინოს პრობლემურ საკითხთა გაანალიზებისა და აქტიური კომუნიკაციის უნარი. სწორედ ამიტომ გადაწყდა პროგრამის გამდიდრება პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კურსებით. ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, რომელიც თანხმობაშია უსდ-ს მისიასთან, პროგრამა უნივერსიტეტთან ერთად მოტივირებულია შესთავაზოს სტუდენტს ხარისხიანი განათლება, მოამზადოს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ჩართულობითა და კვლევითი თუ პედაგოგიური საქმიანობის ხელშეწყობით. ამათან, პროგრამის მიზანია სტუდენტი, პროგრამის დამთავრების შემდეგ ფლობდეს დიპლომატიის, სამართლისა და ეკონომიკის ცოდნას გამოსადეგარს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსათვის.

უსდ-მ საერთშორისო ურთიერთობების სკოლასთან ერთად ჩაატარა ბაზრის კვლევა, რომელიც დაუკვეთა ორგანიზაცია ANOVA-ს. კვლევიდან გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლები ითხოვენ კურსდამთავრებულს, რომელსაც შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

ორივე საფეხურის (უნივერსიტეტისა და ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის) ადმინისტრაცია პერიოდულად ხვდება დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებს. როგორც ბაზრის კვლევებმა, ისე დამსაქმებლებთან შეხვედრებმა გამოკვეთა ის ძირითადი მოთხოვნები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს პროგრამის კურსდათავრებულმა. მოთხოვნათა შორისაა როგორც დარგის თეორიული ცოდნა, ასევე მისი პრაქტიკული გამოყენება; წერითი და ზეპირმეტყველებითი უნარები; კომუნიკაციის უნარი და სულ მცირე ორი უცხო ენის ცოდნა. დამსაქმებმებთან შეხვედრებისას, დამსაქმებლების მხრიდან მიწოდებული იყო რჩევა, რომ პროგრამა გაფართოებულიყო ევრო-ატლანტიკური მიმართულების საგნებით საერთაშორისო გამოწვევებისა და საქართველოს საგარეო პრიორიტეტებიდან გამომდინარე. შედეგად, პროგრამის ხელმძღვანელებმა პროგრამა გაამდიდრეს აღნიშნული მიმართულების პრაქტიკული კურსებით.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განვითარებაში ჩართულია ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აკადემიური პერსონალი. პროფესორებთან ერთად, ლექციებს კითხულობენ მოქმედი და ყოფილი პრაქტიკოსი დიპლომატები და პოლიტიკოსები. პროგრამა სთავაზობს სტუდენტს როგორც ევროპულ, ისე ჩინურ ენას. ამ უკანასკნელის პოპულარიზაციისათვის, უსდ-ში ფუნქტიონირებს კონფუცის ინსტიტუტი. სტუდენტებს მობილობით უშვებენ ჩინეთის უნივერიტეტებში ენის ცოდნის გასაღრმავებლად.

აღსანიშნავია, რომ უსდ-მ და სკოლამ შეიმუშავა პროგრამის გასავითარებლად ინტრნაციონალიზაციის სტრატეგია. დაგეგმილია პროგრამის სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა ერაზმუსის და სხვა გაცვლით პროგრამებში; ამისათვის გაფორმდა რიგი მემორანდუმები ჩინეთის უნივერსიტეტთან, ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებთან. გაფორმებული მემრანდუმების მხოლოდ ნაწილია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთან კავშირში. ამასთან ყველაზე პირველი მემორანდუმის გაფორმების თარიღია 2011 წელი, ხოლო ბოლო მემორანდუმის ხელმოწერა თარიღდება 2019 წლით. **რეკომენდებულია,** მოხდეს მემორანდუმების განახლება, საერთაშორისო ქსელის გაფართოება (მაგ. ერაზმუს+ გაცვლით პროგრამებში ჩართვა და სხვა), სტუდენტების

ინფორმირება და უცხოეთში სწავლის წამახალისებელი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება.

პროგრამის განვითრებისათვის უსდ-ს და საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაცია, ითვალისწინებს ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულების ხედვებს და დამსაქმებლებთან თანამშრომლობისას მიღებულ რჩევებს. აღნიშნული აქტივობები მნიშვნელოვანია, რადგან პროგრამა არის მოწოდებული დასაქმების ბაზარს მისი მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური პროფესიონალი შესთავაზოს. შესაბამისად, აღნიშნულ კვლევას თუ დავეყრდნობით, დამსაქმებლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, კუსდამთავრებულს ჰქონდეს სპეციალობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები (ანალიზი, წერა, კვლევის ჩატარება, კომუნიკაცია, პრეზენტაციის წარდგენა და ა.შ.). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამას უნდა დაემატოს სტაჟირების კომპონენტი (არჩევითი სტატუსით) ან პრაქტიკული კურსი (სავალდებულო სტატუსით); *აკადემიური წერა* სავალდებულო სტატუსით (მითუმეტეს, საბაკალავრო ნაშრომის შესრულება სავალდებულოა); შეიცვალოს კურსი, *კვლევის მეთოდების,* სტატუსი და გახდეს სავალდებულო.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.tou.edu.ge) როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს მისია,
- თვითშეფასების დოკუმენტი,
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,
- სულაბუსები,
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია,
- მემორენდუმები,
- ბაზრის კვლევის დოკუმენტი,
- თბილისი ღია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.tou.edu.ge).

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, მოხდეს მემორანდუმების განახლება, საერთაშორისო ქსელის გაფართოება (მაგ. ერაზმუს+ გაცვლით პროგრამებში ჩართვა და სხვა) სტუდენტების

ინფორმირება და უცხოეთში სწავლის წამახალისებელი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება; **რეკომენდებულია,** პროგრამას დაემატოს სტაჟირების კომპონენტი (არჩევითი სტატუსით) ან პრაქტიკული კურსი (სავალდებულო სტატუსით); *აკადემიური წერა* სავალდებულო სტატუსით (მითუმეტეს, საბაკალავრო ნაშრომის შესრულება სავალდებულოა) და შეიცვალოს კურსი, *კვლევის მეთოდების* სტატუსი, გახდეს სავალდებულო.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან Vმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
• პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; • შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდგომ, სტუდენტი უნდა ფლობდეს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს საფუძვლიან თეორიულ ცოდნას - იცნობდეს სფეროს ძირითად თეორიებს, კონცეფციებს, პრინციპებს, რეგიონალურ და გლობალურ კონტექსტებს; ხედავდეს საქართველოს ადგილს საერთაშორისო თუ რეგიონულ სისტემაში; მას უნდა შეეძლოს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის არქიტექტურისა და შემადგენელი სუბიექტების აღწერა; საერთაშორისო ეკონომიკური, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი საკითხების

კრიტიკული გააზრება; ღია წყარიების გამოყენება და კვლევა; სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით საერთაშორისო ურთიერთობათა და მმართველობის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი თემების ანალიზი და შეფასება. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა იყენებდეს ეთიკის, ჰუმანურობისა და დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს და ითვალისწინებდეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს საკუთარი პოზიციების ჩამოყალიბებისა და დასაბუთებისას დარგის ძირითად კომპლექსურ საკითხებზე მსჯელობისას. ის უნდა ფლობდეს ეფექტიანი კომუნიკაციის უნარს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან ურთიერთობისას ქართული და ინგლისური ენის სრულყოფილად ფლობის მეშვეობით. პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ მისი გავლის შემდეგ სტუდენტის ცოდნა და პროფესიული უნარები შეესაბამებოდეს დარგის კვალიფიკაციას. მან უნდა შეძლოს დასაქმება საგარეო საქმთა სამინისტროში დიპლომატის ან კვალიფიკაციის შესატყვის პოზიციაზე, ანალიტიკოსად სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში ან გააგრძელოს სწავლა შემდეგ საფეხურზე (სამაგისტრო).

პროგრამაში არაა კონკრეტული პრაქტიკული კურსი და სტუდენტს არც სხვადასხვა ორგანიზაციებში სტაჟირებას სთავაზობს, თუმცა ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ პრაქტიკული უნარების განვითარება მიიღწევა აკადემიურ კურსებში ჩაშენებული სწავლების პრაქტიკული კომპონენტით და სფეროს პრაქტიკული კურსებით. ეს უკანასკნელი უვითარებს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების დარგის პრაქტიკულ ცოდნასა და პროფესიული მუშაობის უნარს; ამავდროულად, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისათვის წერითი და ზეპირმეტყველებითი უნარების გამომუშავებას, როგორც ბაზრისა და დამსაქმებელთა ერთ-ერთ მოთხოვნას. ხაზგასასმელია, რომ წერითი უნარის განმავითარებელი კურსი, მაგალითად, *აკადემიური წერა,* პროგრამაში არაა წარმოდგენილი (არის კურსი, *ზეპირი და წერითი კომუნიკაციები,* რომელიც კომპლექსურად მოიცავს როგორც მეტყველებით, ისე წერით უნარს). პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ წერითი უნარის გამომუშავება ხდება თითოეული კურსის ფარგლებში (სტუდენტმა უნდა დაწეროს ესსე, რეფერატი და სხვა). თუმცა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მითითებული უნარის განვითარება კურსის ფარგლებში ვერ ხდება. როგორც სტუდენტები, ისე კურსდამთავრებულები არ ფლობენ აღნიშნულ უნარს. მათ არ იციან რა აკადემიური სტანდარტით უნდა დაწერონ რეფერატი თუ საბაკალავრო ნაშრომი და როგორი უნდა იყოს ნაშრომის სტრუქტურა **(რეკომენდაცია გაცემულია 2-ე სტანდარტში).**

სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადი. სწავლის შედეგების შეფასებისათვის შედგენილია პროგრმის სწავლის შედეგებისა და სილაბუსის სწავლის შედგების დადარების სარეკომენდაციო ფორმა/კურიკულუმის რუკა. სწავლის შედეგის შეფასების ერთი მეთოდია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება, რაც გულისხმობს პროგრამისა და სილაბუსის დონეზე მონაცემების დამუშავებას და პროცენტული განაწილების დინამიკაზე დაკვირვებას. ამვდროულად, გამოიყენება სწავლის შედეგების პირდაპირი (სტუდენტების წერითი და ზეპირი გამოკითხვა, გამოცდა, პრეზენტაცია, რეფერატი და სხვა) და არაპირდაპირი (დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, კურუკულუმის ანალიზი, სტუდენტთა გამოკითხვა და სხვა) შეფასების მექანიზმები. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები სწავლის თითოეული შედეგისათვის. სამიზნე ნიშნულის აღება ხდება სილაბუსების სამიზნე ნიშნულიდან და აკონკრეტებს დადებითი შეფასების დიაპაზონს. ხდება სწავლის შეფასების შედეგების მონიტორინგი (ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა და ხდება სამწლიან დინამიკაზე დაკვირვება) და შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან. რეგრესის გამოვლენის შემთხვევაში, ხდება სწავლის შედეგებისა და მიღწევის გზების გადახედვა. შედეგად, პროგრამა გარდაიქმნება უსდ-ს რეგულაციების მიხედვით. ხარისხის დეპარტამენტი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების, სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვის და ანალიზის უნარების განვითარებისათვის; იძლევა მეთოდურ რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს. აკადემიურ და მოწვეულ ლექტორებთან, რომელთა დიდი ნაწილი ეხლახან შემოურთდა პროგრამას. მოწვეულ ლექტორებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ისინი არ ფლობენ ინფორმაციას სწავლის შეფასების მეთოდებზე. მათ აღნიშნეს, რომ პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდა ინდივიდუალური კომუნიკაცია მათთან სილაბუსისა და სწავლის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. მაგრამ საუბრისას არ გამოიკვეთა ლექტორებთან ჯგუფური შეხვედრები ტრენინგების ან სხვა ტიპის ფორმატში, რაც ვფიქრობთ ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბევრი ახალი ლექტორია პროგრამაში ჩართული. სწავლის ეფექტიანი შედეგის მისაღწევად, **რეკომენდებულია** ტრენინგების ჩატარება ახლადმიღებული აკადემიური პერსონალისათვის ზემოთაღნიშნულ საკითხებზე.

თვითშეფასების ჯგუფი (უსდ-ს პრეზიდენტი, ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორი, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი, ადამიანური კაპიტალის მართვისა და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტის დირექტორი, სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და სკოლის სტუდენტები) მუშაობს პროგრამის

შექმნა/განვითარებაზე. დამსაქმებლებთან ხდება პერიოდული შეხვედრები და პროგრამის განხილვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები, • თვითშეფასების დოკუმენტი, • დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვები, • სწავლების შედეგების შეფასების მექანიზმი, დანართი 4, • სწავლების შედეგების შეფასების გეგმა, • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, • კურიკულუმის რუკა, • თბილისი ღია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.tou.edu.ge).
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია** ტრენინგების ჩატარება მოქმედი პრაქტიკოსი ლექტორებისათვის სილაბუსების შექმნის სტრანდარტსა და სწავლების შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		V		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა; მიღების მოთხოვნები პროგრამის მსურველ აბიტურიენტებთან მიმართებაში საჯაროა; ინფორმაცია მისაღებ პროცედურებსა და მოთხოვნებზე ხელმისაწვდომია, რაც უადვილებს მსურველს მიიღოს გადაწყვეტილება. საბაკალავრო პროგრამა მოითხოვს აბიტურიენტებისაგან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულებით მინიმალური ზღვრის გადალახვას. პროგრამაზე მოსახვედრად, აბიტურიენტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბაროს ქართული ენა და ლიტერატურა, ნებისმიერი უცხო ენა და ისტორია ან მათემატიკა; მომავალი წლიდან იგეგმება, ინგლისური ენა გახდეს მოთხოვნა. ამის საფუძველია ინგლისურენოვანი საგნების დამატება და ქართულენოვან კურსებში ინგლისურენოვანი სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის შეთავაზება. შესაბამისად, **რეკომენდებულია** ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე ან ტესტის ჩატარებით ენის ფლობის დონის დადგენა და ინგლისური ენის გაძლერებით სწავლება (პროცედურის გაწერა ფორმალურად).

2016 წელს პროგრამამ გამოყო 100 ადგილი პოტენციური სტუდენტებისათვის. ჩაირიცხა 9, და პროგრამა დაასრულა 2-მა სტუდენტმა. 2017 წელს გამოყოფილ 110 ადგილზე ჩაირიცხა 14 სტუდენტი, დღეს ირიცხება 5; 2018 წელს 160 ადგილზე ჩაირიცხა 40 სტუდენტი, დღეს ირიცხება 30; 2019 წელს გამოყოფილ 350 ადგილზე ჩაირიცხა 76, დღეს წარმოდგენილია 51; 2020 წელს გამოყოფილი იყო 220 ადგილი და ჩაირიცხა 100. აშკარად დაიკვირვება სტუდენტთა რაოდენობის კლების დინამიკა. **რეკომენდებულია**, ერთის მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე პროგრამის პოპულარიზაციისათვის ფართომასშტაბიანი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება სტუდენტთა მოსაზიდად და, მეორეს მხრივ, სკოლის ან უსდ-ს ადმინისტრაციის მიერ სტუდენტთა გადინების მიზეზების დადგენა და ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება მათ შესანარჩუნებლად.

პროგრამაზე მიიღებიან ის მსურველები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის No224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე.

პროგრამაზე დაიშვებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში და აღნიშნული კრედიტები აღიარებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია გარე მობილობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ქართულ და ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე (www.tou.edu.ge).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი,
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმღვანელებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან,

• თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ და ინგლისურენოვან ვებ-გვერდი (www.tou.edu.ge).
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია** ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე ან ტესტის ჩატარებით ენის ფლობის დონის დადგენა და ინგლისური ენის გაძლერებით სწავლება (პროცედურის გაწერა ფორმალურად), **რეკომენდებულია**, ერთის მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე პროგრამის პოპულარიზაციის ფართომასშტაბიანი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება სტუდენტთა მოსაზიდად და, მეორეს მხრივ, სკოლის ან უსდ-ს ადმინისტრაციის მიერ სტუდენტთა გადინების მიზეზების დადგენა და ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება მათ შესანარჩუნებლად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან Vმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.
- შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობას იღებს აღნიშნული უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები (ადმინისტრაცია, ხარისხის სამსახური, სკოლის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი და ა.შ.), პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები.

პროგრამა გრძელდება 8 სემესტრი (4 წელი) და მოიცავს 240 კრედიტს; სავალდებულო კომპონენტებია სწავლის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები და საბაკალავრო ნაშრომი; არჩევითი კომპონენტია სწავლის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები; თავისუფალი სასწავლო კურსებიც ორკომპონენტიანია - სავალდებულო (უცხო ენები) და არჩევითი. თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსად სტუდენტს შეუძლია აირჩიოს პროგრამაში მითითებული ნებისმიერი საგანი შესაბამის სემესტრში და უნივერსტიტეტში არსებული ნებისმიერი სხვა საბაკალავრო პროგრამიდან მისთვის საინტერესო საგანი.

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროცესში ჩართულები არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი, უსდ-სა და სკოლის ადმინისტრაციული ერთეულები.

პროგრამა ეყრდნობა წამყვანი უნივერსიტეტების აკადემიურ და მმართვით გამოცდილებას, ითვალისწინებს თანამედროვე კვლევის შედეგებს. პროგრამას ერთვის სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა ელემენტს, რომელიც შესაბამისია პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან. პროგრამის შინაარსი და მისი აგებულება საშუალებას იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. სასწავლო კურსების სილაბუსები იქმნება სასწავლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ავტონომიურიობისა და სასწავლო კურსის შინაარსის გათვალლისწინებით.

სწავლის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების მიზანია სტუდენტმა აითვისოს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიები და პრინციპები; შეძლოს თეორული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას, სტუდენტს უნდა გამოუმუშავდეს კვლევითი უნარები - საჭირო ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, კომპილაცია, კვლევის სწორი მეთოდის შერჩევა და სხვა. სტუდენტმა უნდა დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი აკადემიური წერის კონკრეტული სტანდარტით და

მოახდინოს მისი ზეპირი პრეზენტაცია. საბაკალავრო ნაშრომის წარმატებით დაცვის შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება 10 კრედიტი.

პროგრამის მიზანი და შედეგია სტუდენტს განუვითაროს სფეროსთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები, რათა მან შეძლოს დამოუკიდებლად გაართვას თავი დაკისრებულ ამოცანას დასაქმების შემთხვევაში. პროგრამას არ აქვს ცალკე პრაქტიკული კურსი და არც სტაჟირებით უზრუნველყოფს სტუდენტს. პრაქტიკული უარების გამომუშავების ინსტრუმეტები ჩადებულია სილაბუსებში. დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პრაქტიკული უნარების გამომუშავება (ვერ მოხერხდა საბაკალავრო ნაშრომების გადახედვა; მიუხედავად აკრედიტაციის ჯგუფის მოთხოვნისა, არ მოხდა მათი წარმოდგენა) მხოლოდ კურსის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობებით საკმარისი არაა. **აუცილებელია,** პროგრამამ შესთავაზოს სტუდენტს სტაჟირება კრედიტის მინიჭებით პოტენციურ დამსაქმებელთან (არჩევითი სტატუსი) ან პრაქტიკული კურსი სავალდებულო სტატუსით. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთან დაკავშირებულ ორგანიზაციებში *მუშაობა* იქნება სტუდენტის სამომავლო პროფესიული წარმატების საწინდარი. იგივე მიზნის მისაღწევად, **სასურველია** სტუდენტების წახალისება/ჩართვა ექსტრაკურიკულურ აქტივობებში. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან სტუდენტს მიეცემა საშუალება მიღებული სპეციალობის ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში და განავითაროს პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები. სფეროსთან დაკავშირებულ *ორგანიზაციებში მუშაობა* მნიშვნელოვანია სტუდენტის პროფესიული წარმატებისთვის.

პროგრამის აკრედიტაციისათვის მზადების პროცესს კოორდინირებას უწევდა თვითშეფასების ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილნი არიან: უსდ-ს პრეზიდენტი, ხარისხის სამსახურის თანამშრომლები ორივე დონეზე (უსდ და ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა), მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, ადამიანური კაპიტალის მართვისა და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტის დირექტორი, საოპერაციო დეპარტამენტის დირექტორი, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერაონალი, სტუდენტები.

ჯგუფში არაა წარმოდგენილი კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. გაწერილი პროცედურის მიხედვით ხდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და დამსაქმებლებთან შეხვედრები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. მათი ხედვები გათვალისწინებული იქნა თვითშეფასების ჯგუფის მიერ პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისათვის; თუმცა,

აკრედიტაციის ჯგუფი მაინც ფიქრობს, რომ ორივე სეგმენტი უნდა იყოს გრძალვადიანად წარმოდგენილი თვითშეფასების ჯგუფში.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე (http://tou.edu.ge).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა,
- საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები,
- ინტერვიუები სკოლის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან, თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან,
- თვითშეფასების დოკუმენტი,
- ბაზრის კვლევა,
- http://tou.edu.ge .

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი იყოს წარმოდგენილი გრძელვადიანი სტატუსით თვითშეფასების ჯგუფში,

სასურველია სტუდენტების წახალისება/ჩართვა ექსტრაკურიკულურ აქტივობებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება:

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამა ორკომპონენტიანია - ძირითადი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსები და თავისუფალი კომპონენტი, ასევე სავალდებულო და არჩევითი კურსებით.

რაც შეეხება კონკრეტული კურსების სულაბუსებს. სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიები, კონცეფციები, დისკუსიები“ ჩასმულია I სემესტრში. სასწავლო კურსის შინაარსი აქცენტს აკეთებს სხვადასხვა თეორიულ სკოლებს შორის დისკურსებზე, წყაროების განხილვაზე, რაც სრულიად შესაბამისია სასწავლო კურსის სათაურთან და გამოყენებულ ლიტერატურასთან. თუმცა, შეუძლებლად მიგვაჩნია, მსგავსი სასწავლო კურსის წინაპირობის გარეშე შესწავლა. **რეკომენდებულია,** კურიკულუმს დაემატოს დამოუკიდებელი სავალდებულო სასწავლო კურსი „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში“ (საბაზისო ცოდნა სხვადასხვა თეორიული სკოლების ძირითადი მახასიათებლებისა და დარგის ტერმონოლოგიის შესახებ) რომელიც გახდება წინაპირობა სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიები, კონცეფციები, დისკუსიები“.

სასწავლო კურსის „საერთაშორისო უსაფრთხოება“ სილაბუსი აქცენტს აკეთებს საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა აქტუალურ თეორიულ საკითხებსა და შემთხვევის ანალიზის შესწავლაზე. ძირითად ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოები (1,3,4,5) წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკის სახელმძღვანელოს და საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა წყაროებს. სასწავლო კურსის შინაარსისა და ძირითადი ლიტერატურის გათვალისწინებით, **რეკომენდებულია** სასწავლო კურსის სათაური განისაზღვროს როგორც „საერთაშორისო პოლიტიკა“, სილაბუსის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი ცვლილებებით. **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო უსაფრთხოება“ დაიწეროს ახალი, საბაკალავრო დონის შესავალი კურსი (საერთაშორისო

უსაფრთხოების, როგორც პოლიტიკის მეცნიერებების ახალი დარგის განვითარების სპეციფიკა, დარგის ინტერდისციპლინარულობა, უსაფრთხოების სამხედრო და არასამხედრო ასპექტები და სხვ.).

სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე განზომილება“ კურიკულუმის მიხედვით წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსად მეორე სემესტრში, წინაპირობის გარეშე. კურსის სილაბუსი აქცენტს აკეთებს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა აქტუალურ თემებსა და რეგიონებზე, რომელთა შესახებ სტუდენტი საბაზისო ცოდნას შემდგომი სემესტრის სასწავლო კურსებით მიიღებს. **რეკომენდირებულია,** სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე განზომილება“ წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შესავალი კურსები, ინგლისური ენა (3 ან 4) და შესაბამისად, გადანაცვლდეს კურიკულუმში.

რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საერთაშორისო უსაფრთხოება“, რომელსაც შეეცვლება სათაური როგორც „საერთაშორისო პოლიტიკა“, წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების შესავალი კურსი და ინგლისური ენა (3 ან 4). სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში“ წინაპირობის გარეშეა წარმოდგენილი. **რეკომენდებულია,** წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში“; **რეკომენდირებულია,** სასწავლო კურსის „საჯარო პოლიტიკის ანალიზი“ წინაპირობად განისაზღვროს „საჯარო მმართველობის საფუძვლები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები“.

შემდეგ სილაბუსებში ტრანსფერული უნარები განსაკუთრებით სუსტად გამოიყურება: „საერთაშორისო პოლიტიკა 1914 წლის შემდეგ: ომი და მშვიდობა“; „საზოგადოებასთან ურთიერთობა და სტრატეგიული კომუნიკაციები“; „საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში“; „სახელმწიფო და დიასპორა“.

კურსების, *American Democracy, International Cooperation in the Black Sea Region and Terrorism*, მიზანი გაწერილია მცარად და არ შეესაბამება საგნების შინაარსს. კურსის, *აშშ საგარეო პოლიტიკა*, ერთ-ერთი მიზანი (დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს როლი საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში) ძალიან ვიწროა და უფრო ერთ-ერთ სასწავლო თემას ეხება; საგნის შინაარსის უფრო ფართოდაა განხილული. შედაბამისად, მიზანი და შედეგი ერთმანეთთან თანხმობაში არაა. ანალოგიური შენიშვნაა კურსთან, *დიპლომატიის ისტორია* და *მოლაპარაკების თეორია და პრაქტიკა.* ამასთან, უკანასკნელი ფაქტიურად პრაქტიკული კურსია და თითქმის არ ეხება თეორიებს. საგნის სათაურიდან სიტყვა თეორიის ამოღება პრობლემას მოგვარებს. კურსი, *დიპლომატიის ისტორია,* მოიცავს მე-18 და მე-19

საუკუნეებს; სასურველია, სტუდენტი გაეცნოს მე-20 საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებულ დიპლომატიური თავისებურებებს. კურსი, დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი, იყენებს ერთ-ერთ სავალდებულო ლიტერატურად Post Emily-ს წიგნს გამოცემულს 1922 წელს. მართალია, ხდება მისი ხელახალი გამოქვეყნება, მაგრამ წიგნის შინაარსი რთული გამოსაყენებელია დიპლომატიური აქტივობისა და მოღვაწეობისათვის, რადგან ის ეხება რიგითი ადამიანების ყოფითცხოვრებისეულ მოვლენებს. კურსში, ევროპის პარტიათა პოლიტიკა, სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია: *„ევროკავშირის დამხმარე სახელმძღვანელო“: ალექსანდრე დევიძე, გიორგი მირიანაშვილი* (განიხილავს სამართლის თემებს)*; „პრაქტიკული რჩევები ევროკავშირთან საქმიანობის საწარმოებლად“: იოსებ ნანობაშვილი* (უფრო პოპულარული დაკითხავია, ვიდრე აკადემიური ლიტერატურა) და *„ევროპული გაერთიანების ისტორია“: ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი; ირაკლი მეგრელიშვილი* (არის ევროპის ისტორია ანტიკური ხანიდან). გაუგებარია, როგორ უნდა მოხდეს ჩამოთვლილი ლიტერატურის გამოყენება კურსში გასავლელი თემების შესასწავლად.

ძირითადად, სილაბუსებში მითითებული არაა სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის გვერდები; სასურველია მათი მითითება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლექტორი იყენებს მხოლოდ ერთ წიგნს. ეპიდსიტუაციის გამო, სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადასვლის პირობებში გვერდების მითითება გაუადვილებს სტუდენტს მოემზადოს ლექციისათვის.

კარგია, რომ კურსების ფარგლებში ხდება შემთხვევების შესწავლა. რატომღაც ძირითადად არის განხილული ყოფილი იუფოსლავიის სახელმწიფოები. სასურველია, მოსდეს ქეისების გამრავალფეროვნება.

მისასალმებელია უსდ მოქნილობა სილაბუსებთან მიმართებაში, ლექტორი თავად წყვეტს როგორც საკონტაქტო საათების განაწილებას (ლექცია/ჯგუფში მუშაობის საათები), ასევე შეფასების ფორმებს, შეფასების მაქსიმუმს, მინიმალურ ბარიერებს, ფინალურ გამოცდაზე დაშვების წინაპირობას, შუალედური და ფინალური გამოცდების საათების რაოდენობას. აღნიშნული მოქნილობის გათვალისწინებით, **რეკომენდებულია,** ყველა სილაბუსში მკაფიოდ იყოს აღნიშნული მინიმალური ბარიერები, გამოცდაზე დაშვების ბარიერი, რომელ კვირაშია ჩანიშნული შეფასების ესა თუ ის ფორმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება,
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

- პროგრამის სილაბუსები,
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან,
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან,
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია** სილაბუსების გადახედვა:
  ა. კურსის მიზნისა და შედეგეის თანხმობაში მოყვანა;
  ბ. აკადემიური ლიტერატურის გამოყენება;
  გ. ლიტერატურის სწორად მითითება;
  დ. ტრანსფერული უნარების გამაძლიერებელი აქტივობების დამატება.
- **რეკომენდებულია,** კურიკულუმს დაემატოს დამოუკიდებელი სავალდებულო სასწავლო კურსი „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში“ (საბაზისო ცოდნა სხვადასხვა თეორიული სკოლების ძირითადი მახასიათებლებისა და დარგის ტერმონოლოგიის შესახებ), რომელიც გახდება წინაპირობა სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიები, კონცეფციები, დისკუსიები“.
- **რეკომენდებულია** სასწავლო კურსის სათაური განისაზღვროს როგორც „საერთაშორისო პოლიტიკა“, სილაბუსის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი ცვლილებებით,.
- **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო უსაფრთხოება“ დაიწეროს ახალი, საბაკალავრო დონის შესავალი კურსი (საერთაშორისო უსაფრთხოების, როგორც პოლიტიკის მეცნიერებების ახალი დარგის განვითარების სპეციფიკა, დარგის ინტერდისციპლინარულობა, უსაფრთხოების სამხედრო და არასამხედრო ასპექტები და სხვ.).
- **რეკომენდირებულია,** სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე განზომილება“ წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შესავალი კურსები, ინგლისური ენა (3 ან 4) და შესაბამისად, გადანაცვლდეს კურიკულუმში.
- **რეკომენდებულია** სასწავლო კურსის „საერთაშორისო უსაფრთხოება“, რომელსაც შეეცვლება სათაური როგორც „საერთაშორისო პოლიტიკა“, წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების შესავალი კურსი და ინგლისური ენა (3 ან 4).
- სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში“ წინაპირობის გარეშეა წარმოდგენილი. **რეკომენდებულია,** წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში“.
- **რეკომენდირებულია,** სასწავლო კურსის „საჯარო პოლიტიკის ანალიზი“ წინაპირობად განისაზღვროს „საჯარო მმართველობის საფუძვლები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები“.

- **რეკომენდებულია,** ყველა სილაბუსში მკაფიოდ იყოს აღნიშნული მინიმალური ბარიერები, გამოცდაზე დაშვების ბარიერი, რომელ კვირაშია ჩანიშნული შეფასების ესა თუ ის ფორმა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

პრაქტიკულ კურსებში, სასურველია, შესასწავლილი ქეისების გამრავალფეროვნება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კურსებში ჩაშენებულია პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტი - ინტერაქციული ლექცია, brainstorming, პრობლების დადგენა, ანალიზი და გადაჭრა, სიტუაციური თამაში, შემთხვევის ანალიზი, დისკუსია და სხვა. აკრედიტაციის ჯგუფი ინტერვიუებზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ ჩამოთვლილი აქტივობები საკმარისი არაა იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად, რომელსაც ითხოვს დამსაქმებელი, კურსდამთავრებული და სტუდენტი. ბაზრის კვლევებიც ამას აჩვენებს. **სავალდებულოა,** ორგანიზაციაში (საჯარო თუ არასამთავრობო) მუშაობა (სტაჟირება არჩევითი სტატუსით) იქნეს შეთავაზებული სტუდენტისათვის ან სავალდებულო პრაქტიკული კურსი (ეს უკანასკნელი მიმართული უნდა იყოს ძირითადი სპეციალობის ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე; საგანმა სხვა უნარებთან ერთად უნდა გამოუმუშავოს სტუდენტს გუნდური მუშაობისა და სხვადასხვა გარემოში ადაპტირების უნარი);

პროგრამის ამ მიმართულებით ცვლილება შეუწყობს ხელს სტუდენტის პროფესიული უნარების განვითარებას და გაუიოლებს მას, რომ გაუწიოს სრულფასოვანი კონკურენცია სამუშაო ბაზარზე დარგის სხვა სპეციალისტებთან. პროგრამაში არის წარმოდგენილი ძირითადი სპეციალობის პრაქტიკული საგნები: *მოლაპარაკების თეორია და პრაქტიკა, სტრატეგიული კომუნიკაციები, საერთაშორისო საქმის წარმოება, დიპლომატიური ეტიკეტი, გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირში და ინსტიტუციონალური წესრიგი და სხვა.* ჩამოთვლილი კურსები უვითარებს სტუდენტებს სწავლის პრაქტიკულ/ვერბალურ (დისკუსია, დებატები, როლური და სიტუაციური თამაშები, სიმულაციები), კვლევით (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რეფერატის წერა, პოლიტიკური ბარათის შედგენა), ანალიზის გაკეთების (შემთხვევების შესწავლა, შედარება ანალიზი), ინდივიდუალური მუშაობის (წიგნზე მუშაობა, ლიტერატური მოძიება) და ჯგუფური მუშაობის (თანამშრომლობითი სწავლება) უნარებს. რიგ კურსებს ასწავლიან პრაქტიკოსი დიპლომატები და პოლიტიკოსები, რაც პროგრამას პრაქტიკული თვალსაზრისით აძლიერებს. საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის შექმნა სავალდებულოა (10 კრედიტი). შესაბამისად, პროგრამა სტუდენტს სთავაზობს შემდეგ საგნებს: *კვლევის მეთოდები* (არჩევითი), *ზეპირი და წერითი კომუნიკაციები* (სავალდებულო, აძლევს სტუდენტს აკადემიური წერის ზოგად უნარს (ესსე, რეფერატი, საქმიანი წერილი, საკვალიფიკაციო ნაშრომი, პლაგიატი, ციტირება და არაა მიმართული უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავებაზე), *კრიტიკული აზროვნება* (არჩევითი), *სოციოლოგიის საფუძვლები* (არჩევითი), *სტატისტიკის საფუძვლები* (არჩევითი). პროგრამაში არ ისწავლება კურსი - *აკადემიური წერა*; ლექტორებმა გასაუბრებისას, აღნიშნეს, რომ ისინი კურსების ფარგლებში, ასწავლიან სტუდენტებს, თუ როგორ წერონ რეფერატები. ციტირებისათვის იყენებენ Chicago Style-ს, რომელიც აგრეთვე კონკრეტული საგნების ფარგლებში ისწავლება. რადგან სტუდენტსათვის სავალდებულოა საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, **აუცილებელია,** პროგრამას დაემატოს ისეთი პრაქტიკული საგანი, როგორიცაა *აკადემიური წერა ან კვლევის დიზაინი,* ხოლო *კვლევის მეთოდები* გახდეს სავალდებულო. აღნიშნული მიმართულებით პროგრამის მოდიფიცირება დაეხმარება სტუდენტს დაწეროს სტრუქტურულად სწორად აგებული საკალავრო ნაშრომი და განივითაროს დასაქმებისათვის აუცილებელი კვლევითი და წერითი უნარები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება,
- პროგრამის სილაბუსები,
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან,
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და პრატიკული საგნების ლექტორებთან,
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს ისეთი პრაქტიკული საგანი, როგორიცაა *აკადემიური წერა* ან *კვლევის დიზაინი;* ხოლო *და კვლევის მეთოდები* და გახდეს სავალდებულო,

სავალდებულოა, ორგანიზაციაში (საჯარო თუ არასამთავრობო) მუშაობა (სტაჟირება არჩევითი სტატუსით) იქნეს შეთავაზებული სტუდენტისათვის ან სავალდებულო პრაქტიკული კურსი (ეს უკანასკნელი მიმართული უნდა იყოს ძირითადი სპეციალობის ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე; საგანმა სხვა უნარებთან ერთად უნდა გამოუმუშავოს სტუდენტს გუნდური მუშაობისა და სხვადასხვა გარემოში ადაპტირების უნარი);

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში კარგადაა გამოკვეთილი სწავლის მეთოდები, ხოლო სასწავლო კურსებში მოცემული მეთოდების ანალიზმა ცხადყო, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ერთი მხრივ, შეესაბამება კურსის/კომპონენტის შინაარსს, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ლექცია, ინტერაქციული მუშაობა, დემონსტრირება, გონებრივი იერიში, დისკუსია/დებატები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევის შესწავლა, სიტუაციურ დავალებებზე მუშაობა, ლიტერატურის მოძიება, ანალიზი და სინთეზი, შემთხვევების შედარება, თანამშრომლობითი სწავლება და სხვა. (სილაბუსებში სტანდარტულად არის მითითებული მხოლოდ სწავლების ორი მეთოდი: ლექცია და ჯგუფში მუშაობა (classwork); **სასურველია** გასწორდეს და დაემატოს სწავლების სხვა მეთოდებიც, რომელსაც ლექტორები იყენებენ).

აღსანიშნავია, რომ ლექტორს აქვს ავტონომიურობა, აირჩიოს სწავლების მეთოდი, რომელიც პროგრამაში არაა მითითებული, თუ ის თვლის, რომ კონკრეტული მეთოდი სწავლის უფრო ეფექტიან შედეგს მოიტანს. ყველა სილაბუსში გაწერილია, რა მეთოდს იყენებს ლექტორი სწავლების პროცესში.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლამ მოიწვია მოქმედი პრაქტიკოსები: დიპლომატები და პოლიტიკოსები. სწავლების წარმატებით წარმართვისათვის, **რეკომენდებულია** ჩატარდეს ტრენინგები სწავლების მეთოდოლოგიაში როგორც ახლადმოწვეული, ისე პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის. მართალია, ახალი ლექტორებისათვის უსდ-ს ვებგვერზე დევს სახელმძღვანელო, მაგრამ ზოგიერთი ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ახლადჩართული ლექტორები აღნიშნულ უნარს ნაკლებად ფლობენ.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია ჩატარდეს ტრენინგები სწავლების მეთოდოლოგიაში როგორც ახლადმოწვეული, ისე პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სილაბუსებში სტანდარტულად არის მითითებული მხოლოდ სწავლების ორი მეთოდი: ლექცია და ჯგუფში მუშაობა (classwork); **სასურველია** გასწორდეს და დაემატოს სწავლების სხვა მეთოდებიც, რომლებსაც ლექტორები იყენებენ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ფოკუს-ჯგუფებთან ონლაინ შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ხასიათდება გამჭირვალობით. პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისში. სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავენ ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: დისკუსიაში მონაწილეობა, პრეზენტაციის წარმოდგენა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, როლურ აქტივობებისა და ტესტირების ჩატარება, ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარება. შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი და აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეფასების სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით არ არის სტანდარტული და ფორმირებულია კონკრეტული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც თავის მხრივ ბუნდოვანს ხდის შეფასების სისტემას. სასურველია, მოხდეს შეფასების თითოეული კომპონენტის ნათლად ფორმულირება სასწავლო კურსის სილაბუსებში.

მიუხედავად იმისა, რომ რეგულარულად ხდება შემფასებლების ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ, სასურველია ამ კუთხით კიდევ უფრო გააქტიურდეს მოქმედება და მოხდეს გამჭირვალე შეფასებების სისტემის წარმოდგენა რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სწავლების პროცესში სტუდენტი ასევე წარადგენს საბაკალავრო ნაშრომს, რომლის შეფასება ხდება მრავალკომპონენტიანი მექანიზმით და ფასდება 100 ქულიანი სისტემით. უპირველეს ყოვლისა, თითოეული სტუდენტის ნაშრომს აფასებს ნაშრომის ხელმძღვანელი მაქსიმუმ 70 ქულით. შემდგომ უკვე, დაცვის კომისიის თითოეული წევრი აფასებს თითოეულ სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 30 ქულით. საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსების გარდა, შეფასების სისტემა ასევე წარმოდგენილია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტიის ელექტრონულ სასწავლო ბაზა - EMIS-ში. აღნიშნული ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტს ეძლევა საშუალება გაეცნოს შეფასებების შედეგებს, იქონიოს უკუკავშირი ლექტორთან და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება.

ვიზიტის განმავლობაში, სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ რეგულარულად ხორციელდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ და ასევე გაცნობილნი არიან მოქმედ სააპელაციო სისტემას. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები საპრეტენზიო განაცხადით ფაკულტეტის ადმინისტრაციისადმი მიმართვის გზით. ამასთანავე, როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს ჩატარების დროს გამოიკვეთა, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ მათ გაუმჯობესონ სწავლის შედეგები. აღსანიშნავია, რომ შეფასება ისევე, როგორც უკუგება აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლის მეშვეობითაც როგორც სტუდენტებს, ასევე ლექტორებსა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, საშუალება ეძლევათ გაეცნონ შედეგებს და გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია კურსის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით. უნივერსიტეტს ასევე შეძენილი აქვს ანტიპლაგიატის პროგრამა, რომელშიც პროგრამის სტუდენტების საბაკალავრო ნაშრომები იგზავნება შესამოწმებლად. სტუდენტები ფლობენ ამომწურავ ინფორმაციას მოცემული შემოწმების მექანიზმის თაობაზე. თუმცა, მოცემული მექანიზმის ეფექტიანად გამოყენების მიზნით აუცილებელია სტუდენტებს მიეცეთ ამომწურავი ინფორმაცია წყაროების მითითებისა და ციტირების წესების შესახებ. როგორც

ონლაინ-ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, სტუდენტები არ ფლობენ აკადემიური წერის უნარ-ჩვევებს და არ აქვთ ინფორმაცია მათ შესახებ, რაც მნიშვნელოვან წინაღობად ფორმირდება სტუდენტისა და კურსდამთავრებულის სამომავლო კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში,
- საგანმანათლებლო პროგრამა,
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან,
- სასწავლო კურსის სილაბუსები,
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი",
- ელექტრონული პლატფორმა - EMIS,
- გამოცდების ჩატარების დებულება - შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა - https://tou.edu.ge/about-regulatory.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია მოხდეს შეფასების თითოეული კომპონენტის და განსაკუთრებით მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ნათლად ფორმულირება სასწავლო კურსის სილაბუსებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება:

☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტიის ჩატარებული ონლაინ-ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა გამოირჩევა იმ მექანიზმების მრავალფეროვნებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელისგან, ფაკულტეტის დეკანატის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა თუ სხვა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებისაგან პროგრამის ყველა სტუდენტი იღებს ამომწურავ ინფორმაციას და

საჭირო კონსულტაციას სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით. სტუდენტები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ირებენ ასევე ელექტრონულ პროგრამის მეშვეობით („სასწავლო პროცესის მართვის სისტემა"). ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული სტრუქტურების წარმომადგენლებთან სტუდენტები მართავენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, პროგრამის გაუმჯობესების კუთხით სტუდენტთა პოზიციების გაზიარების მიზნით. სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ აკადემიურ პერსონალთან, სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ საჭირო დახმარება და ინფორმაცია.

სტუდენტებს ასევე მხარდაჭერას უწევს ადამიანური კაპიტალის მართვისა და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის როგორც სწავლის პროცესთან, ასევე მათი შემდგომი კარიერული განვითარების საკითხების თაობაზე კონსულტაციების გაწევას. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინფორმირების მიზნით ეფექტურად გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა EMIS-ი, ასევე სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი. აღნიშნული მიმართულებით, სასურველია მაქსიმალურად იქნას ათვისებული და გამოყენებული როგორც სტუდენტების, ასევე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა EMIS-ის მექანიზმი და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის ერთიანი სისტემა. ონლაინ ვიზიტისას ასევე გამოიკვეთა სტუდენტთა ნაკლები აქტიურობა პროგრამის თვითშეფასების პროცესებში. სასურველი იქნებოდა პროგრამის წარმომადგენლებს მოცემული მიმართულებით გაეაქტიურებინათ მუშაობა, რათა სამომავლოდ სტუდენტები კიდევ უფრო მეტად ჩაერთონ პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესებში.

აქვე ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტში რეგულარულად იმართება დასაქმების ფორუმები და დამსაქმებლებთან პირდაპირი კონსულტაციები. ამჟამად პროგრამის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა იგეგმება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტთან, საქართველოს ატლანტიკურ საბჭოსთან და ევროპულ-ქართულ ინსტიტუტთან (EGI). თუმცა ონლაინ-ვიზიტისასა გამოიკვეთა პოტენციურ დამსაქმებლების წრის გაფართოების აუცილებლობა. სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ასევე გამოიკვეთა უნივერსიტეტის მხრიდან საქართველოში არსებულ საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებით დაინტერესებულ იმ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების აუცილებლობა, რომლებთანაც ამჟამად თანამშრომლობს

უნივერსიტეტი. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს როგორც სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობის გამრავალფეროვნებას, ისე რაოდენობრივად უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში.

აქვე აღსანიშნავია, რომ ადამიანური კაპიტალის მართვისა და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტის მეშვეობით სტუდენტი იღებს ინფორმაციას ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, გაცვლითი პროგრამებისა და გრანტების თაობაზე. პროგრამა სტუდენტებს ასევე სთავაზობს საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას. მაგალითად, მოცემული პროგრამის ფარგლებში სტუდენტები იმყოფებოდნენ ენების შემსწავლელ 6 თვიან კურსებზე ჩინეთში და მონაწილეობდნენ საზაფხულო სკოლის აქტივობებში აზერბაიჯანში. აღნიშნული შესაძლებლობის წარმატებით გამოყენების მიზნით, პროგრამა ასევე უზრუნველყოფს სასწავლო კურსის მეშვეობით სტუდენტებისათვის ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას. სტუდენტს დამატებით ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს და შეისწავლოს სურვილისამებრ მეორე უცხო ენაც, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ზრდის საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტთა სწავლის შესაძლებლობას. თუმცა ონლაინ-ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა მოცემული პროგრამის სტუდენტების ნაკლები ჩართულობა, რაც სავარაუდოდ ნაწილობრივ განპირობებული იქნა გლობალური პანდემიითაც. თუმცა, სამომავლოდ სასურველია გაიზარდოს, პროგრამის წარმომადგენლების აქტიური ხელშეწყობით, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლი არა მხოლოდ ჩინეთის უნივერსიტეტებში სწავლების გზით, არამედ ერაზმუსის ფარგლებში არსებული გაცვლითი პროგრამების გამოყენებითაც, რათა მაქსიმალურად იქნას გაზიარებული ის საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა რომელსაც დასავლეთის უნივერსიტეტები სთავაზობენ საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებს.

აქვე ხაზგასასმელია, რომ პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სხვადასხვა სახის ფინანსური შეღავათებით, წახალისების მექანიზმებითა და სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემით. პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს კონფერენციებსა და კვლევით საქმიანობაში დაფინანსების შესაძლებლობებს. ამ კუთხით მისასალმებელია 2021 წლის 24 აგვისტოს „ალტე უნივერსიტეტის ფონდის“ დაარსება, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ფინანსური წახალისების დამატებითი მექანიზმების შემუშავება კვლევითი საქმიანობის განვითარების კუთხით. თუმცა, დღეის მდგომარეობით სტუდენტთა დაბალი აქტივობა ამ მიმართულებით, კვეთავს პროგრამის წარმომადგენლების გააქტიურების აუცილებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ონლაინ-ვიზიტის ინტერვიუები,
- საგანმანათლებლო პროგრამა,
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში,
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან,
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან,
- თანამშრომლობის მემორანდუმები,
- სასწავლო კურსების სილაბუსები,
- „ალტე უნივერსიტეტის ფონდის“ წესდება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობისა და დასაქმების შესაძლებლობის გაფართოების მიზნით, გაგრძელდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების პროცესები,
- სასურველია მაქსიმალურად იქნას ათვისებული და გამოყენებული როგორც სტუდენტების, ასევე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა EMIS-ის მექანიზმი და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის ერთიანი სისტემა,
- სასურველია პროგრამის წარმომადგენლებმა შეიმუშაონ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტების მეტად ჩართულობას პროგრამის თვითშეფასების, დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესებში,
- სასურველია სამომავლოდ პროგრამის წარმომადგენლების აქტიური ხელშეწყობით, გაიზარდოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში და კვლევით პროექტებში საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლი,
- სასურველია პოტენციურ დამსაქმებლების წრის გაფართოება,

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი *საბაკალავრო პროგრამა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტით არ ფასდება.*
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
• პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; • პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდა არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში; • პროგრამის სტუდენტები სამივე უზრუნველყოფილები არიან უნივერსიტეტის მიერ სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 43 პერსონალი, მათ შორის 17 აფილირებული აკადემიური პერსონალი (8 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი) და 25 მოწვეული პერსონალი, 1 უცხოელი პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის მანძილზე 1%-ზე ნაკლებია. აკადემიურ და მოწვეულ

პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. მაგისტრანტების რაოდენობა შეესაბამება ხელმძღვანელების რაოდენობას და დატვირთვის შესაძლებლობას.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა სტუდენტების კონსულტირების პროცესში გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშებში. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობა გათვალისწინებულია როგორც აფილირებული აკადემიური, ასევე არააფილირებული აკადემიური პერსონალის შრომით ხელშეკრულებებში. თუმცა, აფილირების ხელშეკრულებები არ ახდენს დაკონკრეტებას აფილირებული პერსონალის უსდ ფარგლებს მიღმა სამუშაო დატვირთვის შესახებ. **სასურველია,** უსდ აფილირებული პერსონალის ხელშეკრულებები ითვალისწინებდეს პერსონალის უსდ-ში და უსდ-ს მიღმა დატვირთვის კონკრეტულ შესაძლებლობებს.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს სხვადასხვა დარგის კვალიფიკაცია და გამოცდილება (დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტი, მაგისტრის აკადემიური ხარისხი, უმაღლესი დიპლომატიური რანგი, სამთავრობო/არასამთავრობო/საერთაშორისო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება). პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკოსების სიმრავლე უდაოდ მისასალმებელია.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სამეცნიერო მუშაობასა და კვლევით პროექტებში. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ბოლო 4 წლის მანძილზე განხორციელდა 6 პროექტი. მათგან ბოლო 2 პროექტში ჩართული იყო წარმოდგენილი პროგრამის 2 პერსონალი. უსდ პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევით მაჩვენებელს განსაზღვრავს 202 ერთეულით ბოლო 5 წლის მანძილზე (ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები). პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, გარკვეულ შეკითხვებს ბადებს აღნიშნული რაოდენობრივი მაჩვენებელი (ნაშრომების აკადემიურობისა და ნაშრომების დარგთან შესაბამისობის გათვალისწინებით). **სასურველია,** უსდ-მ პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და თვლადობის პროცესში კრიტერიუმებად განსაზღვროს მხოლოდ სამეცნიერო სახის ნაშრომები/სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და გაითვალისწინოს ნაშრომების

დარგთან კავშირი. მიუხედავად აღნიშნულისა, ეჭვს არ ბადებს, რომ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამას ჰყავს 1 ხელმძღვანელი და 1 თანახელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს გააჩნიათ დოქტორის აკადემიური ხარისხი (სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერების დარგებში).

პროგრამის თანახელმძღვანელს აქვს აკადემიური საქმიანობის ხანგრძლივი გამოცდილება და პირად საქმეში ფიქსირდება სამეცნიერო სტატიების ჩამონათვალი (26 ერთეული ბოლო 10 წლის მანძილზე, ქართულ და რუსულ ენებზე, პოლიტიკის მეცნიერების სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებული). თანახელმძღვანელის აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში არ დასტურდება ლექტორებთან ჩატარებული ინტერვიუებით.

ინტერვიუების პროცესში გადაწყვეტილებების მიმღებად ძირითადად სახელდება პროგრამის ხელ-ლი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული როგორც პროგრამის შემუშავებასა და სასწავლო კურსების შერჩევაში, ასევე პერსონალის მოზიდვაში.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სამართლის დარგში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება და აკადემიური საქმიანობის 2 წლიანი გამოცდილება უსდ-ში. მის პირად საქმეში ფიქსირდება 4 სამეცნიერო სტატია, რომელიც არ არის აკადემიური წესების დაცვით მითითებული და არ აღიქმება სად გამოქვეყნდა ან როდის. აკრედიტაციის ჯგუფმა დამატებით დოკუმენტად მოითხოვა პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიური სტატიების ჩამონათვალის გამოგზავნა, რაც უსდ-მ არ განახორციელა.

პროგრამის ხელმძღვანელის კონცეფციური ხედვა პროგრამის ინტერდისციპლინურობასთან დაკავშირებით, მისასალმებელია. თუმცა, რჩება შთაბეჭდილება, რომ საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც დარგი, მარტივად აღქმულია როგორც ეკონომიკის, სამართლისა და უსაფრთხოების დარგების ჰიბრიდი და პროგრამის ჰოლისტიკური ხედვა, მარტივიდან რთულისკენ, წინაპირობების დაცვით და დარგობრივი თეორიული ჩარჩოს გააზრებით შეკითხვებს აჩენს. მაგ. სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“ წინაპირობის განსაზღვრის შესაძლებლობად დასახელდა სასწავლო კურსი „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“, რომელიც ვერ შექმნის აღნიშნული სასწავლო კურსის წინაპირობას.

ლექტორებთან ინტერვიუს პროცესში გაჟღერდა აზრი, რომ მნიშვნელოვანია საერთაშორისო უსაფრთხოებაზე აქცენტის გაკეთება და ამ დარგის განვითარება ქართულ უსდ-ებში, რის გამოც მიესალმებიან ამ კონკრეტული პროგრამის მუშაობას, რაც ლოგიკურად აჩენს

კითხვას, რამდენად ხდება პოლიტიკის მეცნიერებების სხვადასხვა დარგების (საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო უსაფრთხოება, პოლიტოლოგია და სხვ.) გამიჯვნა და დარგებისა და ქვედარგების ურთიერთმიმართების ბალანსი საერთაშორისო ურთიერთობების კვალიფიკაციის პროგრამაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია** პროგრამის ხელმძღვანელების ჯგუფი გაძლიერდეს ახალი პერსონალის დამატებით, რომლის სამუშაო გამოცდილება და/ან კვლევითი ინტერესები ბოლო 5 წლის მანძილზე დაკავშირებული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების დარგთან და რომელსაც ექნება საგანმანათლებლო სივრცეში მუშაობის გამოცდილება.

აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან განხორციელებული ინტერვიუების პროცესში გაირკვა, რომ ორმა ლექტორმა არ იცოდა, რომ ერთის ნაცვლად ორი სასწავლო კურსი მიყავდათ პროგრამაში. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რომ პროგრამის ზოგიერთი სილაბუსი არ არის დაწერილი სასწავლო კურსების განმახორცილებლების მიერ. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთი ლექტორის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ძირითადი დანიშნულება საერთაშორისო უსაფრთხოების დარგის განვითარებაა. აკრედიტაციის ჯგუფი თვლის, რომ ლექტორები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები პროგრამის შემუშავების პროცესში. ისინი უნდა ფლობდნენ სრულ ინფორმაციას, რა მიზნებს ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამა, რა საგნებს კითხულობენ თავად, როგორ ააგონ კურსი და შექმნან სილაბუსი, სწავლების რა მეთოდები გამოიყენონ და როგორ შეაფასონ სტუდენტები. შესაბამისად, **რეკომენდებულია,** უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავებაში ჩართულობის გასაძლიერებლად და სასწავლო კურსების სილაბუსების შექმნაში მათი ჩართულობის გადასამოწმებლად.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი შრომით ხელშეკრულებაში. პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო კვალიფიკაციისა და რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში,
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩამონათვალი,
- პერსონალის პირადი საქმეები,

- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა და მოკლე აღწერები,
- ბაკალავრიატის დებულება,
- შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები,
- აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია** პროგრამის ხელმძღვანელების ჯგუფი გაძლიერდეს ახალი პერსონალის დამატებით, რომლის სამუშაო გამოცდილება და/ან კვლევითი ინტერესები ბოლო 5 წლის მანძილზე დაკავშირებული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების დარგთან,
- **რეკომენდებულია,** უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავებაში ჩართულობის გასაძლიერებლად და სასწავლო კურსების სილაბუსების შექმნაში მათი ჩართულობის გადასამოწმებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, უსდ აფილირებული პერსონალის ხელშეკრულებები ითვალისწინებდეს პერსონალის უსდ-ში და უსდ-ს მიღმა დატვირთვის კონკრეტულ შესაძლებლობებს,

სასურველია, უსდ-მ პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და თვლადობის პროცესში კრიტერიუმებად განსაზღვროს მხოლოდ სამეცნიერო სახის ნაშრომები/სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და გაითვალისწინოს ნაშრომების დარგთან კავშირი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
• დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; • უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და უსდ რეგულაციების გათვალისწინებით, უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებას (სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასება, ლექტორის მიერ განხორციელებული თვითშეფასება) და მიღებული შედეგების ანალიზს. მიღებული შედეგების შესაბამის ცვლილებებზე პასუხისმგებელია სკოლის ადმინისტრაცია. შეფასების პროცესში უსდ ხარისხის მართვის სამსახურის გარდა, ჩართულია სხვა დეპარტამენტებიც. რადგან პროგრამაში ჩართული პერსონალი მეტწილად ახალია, ინტერვიუების პროცესში ვერ მოხერხდა აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება. უსდ-მ წარმოადგინა 8 წლის მანძილზე ჩატარებული სხვადასხვა ტიპის აქტივობების შთამბეჭდავი სია, თუმცა წარმოდგენილი პროგრამის პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე მიმართული აქტივობები არ ფიქსირდება. ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების პროცესში, პერსონალის ნაწილმა დაადასტურა, რომ პირველად მოამზადა სილაბუსი და ლექციის ჩატარების გამოცდილება აქამდე არ ჰქონია. მათ უჩნდებათ შეკითხვები აკადემიური საქმიანობის სპეციფიკისა და გამოწვევების თაობაზე (მაგ. აკადემიური ლიტერატურის მოძიება და ვალიდურობა, ქართული საგანმანათლებლო სივრცის თავისებურებების ცოდნა, დარგობრივი ცოდნის სწავლების სირთულე და სხვ.) ლექტორების ის ნაწილი, ვისაც აქვს ლექციების ჩატარების გამოცდილება (მათ შორის, სხვა უსდ-ებში) აღნიშნავს, რომ აკადემიური საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა მოახერხეს ტრენინგების გავლით სხვა უსდ-ში, ან თავად დაძებნეს ინფორმაცია აკადემიური საქმიანობის შესახებ უცხოური უნივერსიტეტების ვებ-გვერდებზე. პრაქტიკოსი ლექტორების მაღალი ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში უდაოდ პროგრამის დიდი პლიუსია, თუმცა, უსდ-მ უნდა განახორციელოს ქმედითი დახმარება მათი პროფესიული განვითარებისთვის. სტუდენტებთან ინტერვიუების პროცესში გაჩნდა ეჭვი, რომ სასწავლო კურსის გავლის

პროცესში სტუდენტი არ არის ვალდებული მოამზადოს ლექცია სავალდებულო ლიტერატურით და ლექტორები ხშირად საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე აკადემიურ ლიტერატურას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეკომენდირებულია,** უსდ-მ გაწიოს ინტენსიური ძალისხმევა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, დაგეგმოს ტრენინგები კურიკულუმისა და სილაბუსების შედგენის, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასებების, ქართული საგანმანათლებლო სივრცის რეგულაციებისა და მახასიათებელი თავისებურებების და სხვ. შესახებ როგორც ადგილობრივი რესურსით, ასევე განათლების სპეციალისტების უსდ-ში მოწვევით ტრენინგების ჩასატარებლად. უსდ ახალი ადმინისტრაცია დაინტერესებულია ხელი შეუწყოს პერსონალს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით (პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 8% სამეცნიერო სტატიებისთვის და 10% კონფერენციებში მონაწილეობისთვის), ასევე უსდ ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუთი, სადაც აღნიშნულ იქნა, რომ ახლად დაარსებული საქველმოქმედო ფონდი ასევე გაითვალისწინებს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის დაფინანსებას. კვლევითი საქმიანობის განვითარება გათვალისწინებულია უსდ სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებში. უსდ-ში გამოიცემა სამეცნიერო შრომების კრებული, თუმცა ბოლო გამოცემა თარიღდება 2019 წლით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები, • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები, • პროგრამის ბიუჯეტი, • უსდ სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლები), • უსდ სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024), • უსდ ვებგვერდი.
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია,** უსდ-მ გაწიოს ინტენსიური ძალისხმევა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, დაგეგმოს ტრენინგები კურიკულუმისა და სილაბუსების შედგენის, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასებების, ქართული საგანმანათლებლო

სივრცის რეგულაციებისა და მახასიათებელი თავისებურებების და სხვ. შესახებ როგორც ადგილობრივი რესურსით, ასევე განათლების სპეციალისტების უსდ-ში მოწვევით ტრენინგების ჩასატარებლად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ პროგრამის სტუდენტებსა და პერსონალს უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებით, სტუდენტური სივრცეებით, საკონფერენციო დარბაზებით და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით. ონლაინ სწავლების პირობებში უსდ-მ სტუდენტებს შეუქმნა საჭირო პირობები - სტუდენტების გამოკითხვის შედეგების მიხედვით იგეგმება სასწავლო პროცესი (ონლაინ სწავლება/სწავლების ჰიბრიდული მოდელი), ონლაინ ლექციები იწერება ვიდეოების სახით და მიეწოდება სტუდენტებს. უსდ-მ უზრუნველყო ულიმიტო Zoom-ის გამოყენება სასწავლო პროცესში. უსდ ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა საჭირო პირობით. ბიბლიოთეკის გვერდზე გადასვლა შესაძლებელია სტუდენტური პორტალიდანაც (EMIS) რაც კიდევ უფრო მოქნილს ხდის საბიბლიოთეკო მომსახურებას. ონლაინ სწავლების პირობებში ბიბლიოთეკამ უზრუნველყო საჭირო წიგნების გაციფრება. უსდ-ს მემორანდუმი აქვს გაფორმებული

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს წიგნების მოტანას და გაციფრებას. უსდ ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურიდან შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ლიტერატურა (წიგნები, რიდერები) ბიბლიოთეკაში იძებნება. უსდ ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და პერსონალს სთავაზობს სამეცნიერო ბაზებზე (fundinginstitutional.com, sciencedirect.com, scopus.com და ღია წვდომის ბაზები) წვდომას. ონლაინ სწავლების პირობებში სტუდენტებს მიეცათ ბაზებზე დისტანციურად წვდობის საშუალება. ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს: ინდივიდუალური კონსულტაცია, ჯგუფური კონსულტაცია, ტრენინგი, ბიბლიოთეკათშორისი მომსახურება. უსდ ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ როგორც სტუდენტებსა და პერსონალს, ასევე კურსდამთავრებულებს. უსდ ვებგვერდზე დეტალურად არის გაწერილი საბიბლიოთეკო სარგებლობის რეგულაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ-ში განხორციელებული ონლაინ ვიზიტი, • სამეურნეო-ტექნიკური სამსახურის დებულება, • ბიბლიოთეკის დებულება 2019, • უსდ ვებგვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას აქვს საკუთარი ბიუჯეტი. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, მიღებული შემოსავლები აჭარბებს დანახარჯს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ხელფასები, სასწავლო რესურსი, კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო სტატიები, კურიკულუმს მიღმა აქტივობები, სტიპენდიები/შეღავათები. პროგრამის ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და განაპირობებს პროგრამის მდგრადობას. გარდა პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსებისა, საჭიროების შემთხვევაში პროგრამის საჭიროებებს მოემსახურება ახლადდაფუძნებული საქველმოქმედო ფონდი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები • პროგრამის ბიუჯეტი • საფინანსო სამსახურის დებულება 2019 • უსდ ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		V		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული ინტერვიუების პროცესით გამოიკვეთა, რომ თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტეტში მოქმედი

სხვადასხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სახელმძღვანელო დოკუმენტი „საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები“, რომელშიც თავმოყრილია და შეთავაზებულია პროგრამის განმავითარებელი ჯგუფისთვის და პროგრამის განმახორციელებელთათვის ყველა ის მეთოდური თავისებურება, რაც პროგრამის/სილბუსის შემუშავებისას არის გასათვალისწინებელი. აღნიშნული სახელმძღვანელო აქცენტს აკეთებს პროგრამის შემუშავება/განვითარების ძირითად მიმართულებებზე. აღნიშნული დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეყრდნობა პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე”.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყენება სხვადასხვა ტიპის შიდა მექანიზმები, რომლეთა გამოც ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- სასწავლო პროცესის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და სერვისების შეფასება;
- საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- ადმინისტრაციის/დამხმარე პერსონალის საქმიანობა და თვითშეფასების მექანიზმები;
- სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის და ადმინისტრაციის
- კმაყოფილების კვლევა;
- სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი;
- მართვის ეფექტიანობის შეფასება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების ეფექტიანობა;
- ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის წახალისების ქმედებები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმების შემუშავება და ანალიზი;
- SWOT ანალიზი;
- პროგრამის შეფასება სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულის,
- დამსაქმებლის, გარე და შიდა საექსპერტო შეფასება და სხვა;

- სასწავლო კურსის შეფასება;

პროცედურულად და არსებული ციკლის მიხედვით ეს ყოველივე შემდგგვარად არის გადანაწილებული:

I. დაგეგმე - საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები არიან ჩართულნი. ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად ხარისხის მართვის დეპარტამენტი გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს.
გამოიკვეთა პროგრამაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობა ხარისხის მართვის დეპარტამენტთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.
II. განახორციელე - როგორც ვიზიტის დროს ჩატარებული შეხვედრებისას დადგინდა, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურებიდან გამომდინარე დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვისთვის განსაზღვრულია შესაბამისი პერიოდულობა. აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად უსდ-ს მხრიდან წარმოდეგნილი იყო შესაბამისი გამოკითხვები და მათი ანალიზი. ინსტიტუცია აქტიურად იყენებს როგორც პირდაპირი, ასევე არაპრიდაპირ შეფასების მეთოდებს. არაპირდაპირ შეფასებად უნივერსიტეტში ასევე გამოყენებულია ყოველწლიური სტატისტიკა კურსდამთავრებულთა დასაქმების და მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მაჩვენებელების მიხედვით.
III. შეამოწმე - ეს ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების პროცესს. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ხდება საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამაში შემავალი ყველა კომპონენტის პერიოდული მონიტორინგი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწმდება არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსები/კომპონენტები, არამედ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა, მატერიალურ- ტექნიკური ბაზა, საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.
შეფასებებისთვის შემუშავებული შესაბამისი კითხვარები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, თავიანთი მოსაზრება დააფიქსირონ როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური რესურსის შესახებ, ანონიმურობის სრული დაცვით.
საგანმანათლებლო პროგრამის ჯეროვნად განხორცელების მიზნით, ხარისხის მართვის დეპარტამენტი ახდენს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, რის საფუძველზეც შეიმუშავებს

და პერსონალის გააცნობს რეკომენდაცებს. ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, იმავე სემესტრში ხდება პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვაზე განმეორებითი დაკვირვება. ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასებაც, რომელიც თანამონაწილეობითი პროცესია, მასში მონაწილეობს: აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები (არაპირდაპირი გზით), ადმინისტრაციული პერსონალი. **IV. განავითარე** - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას და შემდგომ რეაგირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ ხდება მონაცემთა გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა. პროგრამაში ჩართული პერსონალი პრაგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს. ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. გარდა ამისა, ხარისხის მართვის დეპარტამენტი, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავდა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დისტანციური სწავლებისას უსდ-მ შეიმუშავა ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელსაც აქტიურად იყენებს ელ. სწავლების პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები, • ხარისხის მართვის დეპარტამენტის ანგარიში და რეკომენდაციები, • დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი, • თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია, • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესი, • ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები,

• სახელმძღვანელო„ საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები“, • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე შეფასების ინსტრუმენტებს უსდ აქტიურად იყენებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ამისთვის ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან. პროგრამაში გარე შემფასებელთა (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა 2012 წლის შეფასება) ძირითადი მოსაზრებები პროგრამის განვითარების კუთხით ასახულია. პროგრამის გუნდმა გაიზიარა ის რეკომენდაციები, რომლებიც რეალურად უწყობდა ხელს პროგრამის ხარისხის ამაღლებას. პროგრამაზე განხორციელდა გარე (უცხოელი პროფესორის მიერ) და შიდა (ადგილობრივი

დარგის პროფესორის/პრაქტიკოსის მიერ) კოლეგიალური შეფასება. არცერთი შემფასებელი არ არის შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ არის დაინტერესებული მხარე, შეფასებისას იცავს ეთიკის ნორმებს, გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები. პროგრამა გაეგზავნა აღნიშნულ პირებს მოსაზრებების და რეკომენდაციების გამოთქმის და პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით. მიღებული გამოხმაურებები განხილული იქნა პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ, მოსაზრებები წარედგინა სკოლის საბჭოს და პროგრამის განმავითარებელ ჯგუფს. გარე და შიდა შემფასებლის მხრიდან გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამაზე მუშაობისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა • შიდა და გარე შეფასების დოკუმენტი • პროგრამის დადარებას უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

პროგრამის მონიტორნიგის და პერიოდული შეფასებებისათვის, გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარები.

უნივერსიტეტში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რაც გულისხმობს სალექციო/პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებას სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნების, სწავლა/სწავლების მეთოდების, შეფასების, წაკითხული თემატიკის ადეკვატურობის დადგენის მიზნით; შესაბამისი დასკვნების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის მართვის დეპარტამენტი გეგმავს ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების ჩატარებას. აღნიშნული პროცესის მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტაცია.

პერიოდულად სტუდენტთა მხრიდან ხდება იმ სასწავლო კურსებს შეფასება, რომლებსაც მოცემულ სემესტრში გადიან. თითოეულ ლექტორს ეგზავნება შეფასების შედეგები.

აღნიშნული გამოკითხვით ხდება არა მარტო კურსის შინაარსის შესახებ ინფორმაციის მიღება, არამედ რესურსების და სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ მოსაზრებების დაფიქსირება. მონაცემთა შეგროვების შემდეგ ხდება ინფორმაციის დახარისხება და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, სილაბუსის მოდიფიცირება. შეფასებას ასევე ექვემდებარება კურსის განმახორციელებლის კვალიფიკაცია, დისციპლინა და სხვა.

უნივერსიტეტში ჩატარებული სხვადასხვა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, ყალიბდება რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად. ფასდება საგანმანთლებლო პროგრამები და სხვა რესურსები, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლების ხარისხზე. შეფასების შეგროვების და ანალიზის შემდეგ ხარისხის მართვის დეპარტამენტი აყალიბებს რეკომენდაციებს, რომელიც წარდგენაც ხდება შემდგომი რეაგირებისათვის. ამის შემდეგ უკვე კეთდება განხორციელებული ცვლილებების ანგარიში, აღმოიფხვრა თუ არა ის ხარვეზები, რაც არსებობდა, განხორციელდა თუ არა რეკომენდაციები, პროგრამების თუ რესურსების განვითარების კუთხით დასმული ამოცანები შესრულდა თუ არა და სხვა.

ინსტიტუციის მხრიდან არ იყო წარმოდგენილი ე. წ. „ბენჩმარკინგი“, რაც გულისხმობს პროგრამის დადარებას როგორც ადგილობრივ, ისე უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

აკრედიტაციის 5.3. სტანდარტის გათვალისწინებით, პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იქნეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. ინტერვიუების პროცესისა და ინსტიტუციის მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტიურებული პოზიციის მიხედვით გამოიკვეთა, რომ უსდ- პერიოდულად ახორციელებს მსგავს დადარებას, თუმცა არა აქვს წარმოდგენილი ერთიანი ბენჩმარკინგის დოკუმენტის სახით.

შესაბამისად, სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რომელიც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ანგარიშის სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კოლეგიალური შეფასების დასკვნა,
- ლექციაზე დაკვირვების ფორმა,
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი,
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები,
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები,
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რომელიც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ანგარიშის სახით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 60

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არს შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		V		
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		V		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ფავლენიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის:

სახელი, გვარი, ხელმოწერა: გვანცა აბდალაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო პატარაია.

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნანა ფირცხელანი